

მაკა ლაბარტყავა

ერთი სახის კომპოზიტა (თუ ტერმინთა) დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში არცთუ იშვიათად დასტურდება ერთი სახის ორშემადგენლიანი კომპოზიტები სხვადასხვაგვარი დაწერილობით. მაგ.: **ორმხრივ ჩაზნექილი, ციცაბო-აღმართიანი, მცირემოცულობიანი, განკუთვნილ ზოლიანი** და ა. შ.

სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, აღნიშნული ტიპის კომპოზიტები ერთად უნდა იწერებოდეს ისევე, როგორც: **ყურმოჭრილი, გონებამახვილი, გულჯავრიანი** და სხვა, თუმცა ახლად შემოსული ამ სახის ორშემადგენლიანი სიტყვები დაწერილობის თვალსაზრისით მაინც სიჭრელეს წარმოგვიდგენს.

ამ კომპოზიტა პირველი ნაწილი ძირითადად ზედსართავი (მცირემოცულობიანი) ან რიცხვითი (ერთმალისანი) სახელებია, ხოლო მეორე – წარმოქმნილი სახელი (აღმართიანი, მოძრაობიანი...) ან ვნებითი გვარის მიმღეობა (ამოზნექილი, მიმართული).

ერთმანეთის პარალელურად დასტურდება:

ციცაბოაღმართიანი // ციცაბო-აღმართიანი // ციცაბო აღმართიანი – „ციცაბოაღმართიან გზის მონაკვეთზე ზვავი ჩამოწვა“; „ციცაბო-აღმართიან გზაზე მანქანას უჭირს გადაადგილება“; „მგზავრი ქშენით დაადგა ციცაბო აღმართიან გზას“.

ციცაბოდაღმართიანი // ციცაბო-დაღმართიანი // ციცაბო დაღმართიანი – „მათ წინ ციცაბოდაღმართიანი გზა გადაიშალა“; „ციცაბო-დაღმართიან გზაზე ავტომანქანა იოლადა ეშვება“; „ციცაბო დაღმართიანი გზა ყინულით დაიფარა და სახიფათო გახდა“.

ციცაბოქანობიანი // ციცაბო-ქანობიანი // ციცაბო ქანობიანი – „ციცაბოქანობიან აღმართზე მატარებლის წონა უნდა შემოწმდეს ვაგონებს შორის გადასაბმელის სიმტკიცით“; „ციცაბო-ქანობიანი აღმართი აუცილებლად უნდა გაისინჯოს ტრანსპორტის დაძვრამდე“; „ტრანსპორტი შეჩერდა ციცაბო ქანობიან მოსახვევთან“.

მცირესიმძლავრიანი // მცირე-სიმძლავრიანი // მცირე სიმძლავრიანი – „ციფრულ მაუწყებელზე გადასვლის პროცესი მცირე-

სიმძლავრეანი გადაცემით უნდა გავრცელდეს“; **„მცირე-სიმძლავრეანი** სათიბელების მოდერნიზაცია დაიწყო“; **„მცირე სიმძლავრეანი** გადაცემით ციფრულ მაუწყებელზე გადასვლის პროცესი გაჭიანურდა“.

მცირელიტრაჟიანი // მცირე-ლიტრაჟიანი // მცირე ლიტრაჟიანი – **„მცირელიტრაჟიანი** მოტოსატრანსპორტო საშუალება 43 ერთეული დარჩა“; **„მცირე-ლიტრაჟიანი** ავტომობილის გაყიდვა ზაფხულში დაიწყო“; „ყველა **მცირე ლიტრაჟიანი** ავტომობილის ყიდვითაა დაინტერესებული“.

მცირერადიუსიანი // მცირე-რადიუსიანი // მცირე რადიუსიანი – „პრადის ტრამვაის სისტემის **მცირერადიუსიანი** მოსახვევებისა და დიდქანობიანი აღმართების გამო გადაადგილება შეფერხდა“; „მუშები ჯერ **მცირე-რადიუსიან** მოსახვევებს ამოწმებდნენ“; **„მცირე რადიუსიან** მოსახვევთან გზა აიყარა“.

მცირემოცულობიანი // მცირე-მოცულობიანი // მცირე მოცულობიანი – „გადაუდებელი **მცირემოცულობიანი** სარემონტო სამუშაოები უკვე წარმოებს“; „სილოსის წარმოება მიმდინარეობდა **მცირე-მოცულობიან** სასილოსე ნაგებობებში“; „ჯერ **მცირე მოცულობიანი** ნაგებობები დათვალიერეს“.

ორმხრივდაქანებული // ორმხრივ-დაქანებული // ორმხრივ დაქანებული – „ის შემოსაზღვრულია **ორმხრივდაქანებული** სახურავითა და კარნიზით“; **„ორმხრივ-დაქანებული** სახურავიდან თოვლი ადვილად ჩამორეცხა“; „გეომეტრიული ფიგურა **ორმხრივ დაქანებული** იყო“.

ორმხრივშეღებილი // ორმხრივ-შეღებილი // ორმხრივ შეღებილი – „...I ტიპს მიეკუთვნება წერნაქით **ორმხრივშეღებილი** სწორკიმიანი ჯიშები“; „ეს ჯიშები **ორმხრივ-შეღებილი** იყო“; „მოეწყო **ორმხრივ შეღებილი** ჯიშების დათვალიერება“.

ორმხრივმოძრაობიანი // ორმხრივ-მოძრაობიანი // ორმხრივ მოძრაობიანი – „**ორმხრივმოძრაობიანი** გზა ოღრო-ჩოღრო ზედაპირით იპყრობდა ყურადღებას“; „უფრო სახიფათო იყო **ორმხრივ-მოძრაობიან** გზაზე გადასვლა“; **„ორმხრივ მოძრაობიან** გზაზე მძოლს შუქნიშანი აძლევს სწორად მოძრაობის მიმართულებას“.

ორმხრივამოზნეკილი // ორმხრივ-ამოზნეკილი // ორმხრივ ამოზნეკილი – „**ორმხრივამოზნეკილ** სხეულზე კვლავ გაგრძელდა

დაკვირვება“; „ზედაპირი **ორმხრივ-ამოზნექილი** იყო“; „გეომეტრიული ფიგურა **ორმხრივ ამოზნექილ** სხეულს წარმოადგენს“.

ორმხრივჩაზნექილი // ორმხრივ-ჩაზნექილი // ორმხრივ ჩაზნექილი – „მომზადდა **ორმხრივჩაზნექილი** სხეულის მაკეტი“; „**ორმხრივ-ჩაზნექილი** ზედაპირი ყველასათვის თვალსაჩინო გახდა“; „ზედაპირი **ორმხრივ ჩაზნექილი** იყო“.

რევერსულმოდრაობიანი // რევერსულ-მოდრაობიანი // რევერსულ მოდრაობიანი – „რომელი საგზაო ნიშანი მიუთითებს **რევერსულმოდრაობიანი** გზის მონაკვეთის დასაწყისს?“; „**რევერსულ-მოდრაობიანი** გზაზე გასვლა სახიფათო აღმოჩნდა“; „**რევერსულ მოდრაობიანი** გზის მონაკვეთი კვლავ შესასწავლი იყო“.

ოთხმალაიანი // ოთხ-მალაიანი // ოთხმალაიანი – „ოდესღაც გმირთა მოედანზე გაკეთდა **ოთხმალაიანი** ხიდი“; „**ოთხ-მალაიანი** ხიდი ვერ უძლებს წყლის უეცარ მოწოლას“; „შემუშავდა პროექტი **ოთხ მალაიანი** ხიდის არსებობის შესახებ“.

ანალოგიური ვითარება გვაქვს შემდეგ ფორმებშიც: **შეზღუდულხილვადობიანი // შეზღუდულ-ხილვადობიანი // შეზღუდულ ხილვადობიანი; განკუთვნილზოლიანი // განკუთვნილ-ზოლიანი // განკუთვნილზოლიანი; დიდქანობიანი // დიდ-ქანობიანი // დიდ ქანობიანი; ერთმალაიანი // ერთ-მალაიანი // ერთ მალაიანი; მცირეზომიანი // მცირე-ზომიანი // მცირე ზომიანი; სწორქიმიანი // სწორ-ქიმიანი // სწორ ქიმიანი; სამგანზომილებიანი // სამ-განზომილებიანი // სამ განზომილებიანი...**

როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული ტიპის კომპოზიტები (ძირითადად ტერმინები) სამი სახის დაწერილობით დადასტურდა. ამათგან ყველაზე ხშირია ცალ-ცალკე და ერთად დაწერილობის შემთხვევები. ვფიქრობთ, დასახელებული ვარიანტებიდან უპირატესობა უნდა მიენიჭოს ერთადერთ ფორმას – ერთად დაწერილ კომპოზიტებს, რაკი ყველა შემთხვევაში გვაქვს არა ორი დამოუკიდებელი სიტყვა, არამედ ერთი ცნება (სალიტერატურო ენის ნორმებიც ამ ვარიანტს უჭერს მხარს).

მაშასადამე, ერთად უნდა დაიწეროს შემდეგი კომპოზიტები: **ციცაბოლმართიანი, ციცაბოდაღმართიანი, ციცაბოქანობიანი, მცირესიმპლავრიანი, მცირელიტრაჟიანი, მცირერადიუსიანი, მცირემოცულობიანი, ორმხრივდაქანებული, ორმხრივშედებილი, ორმხრივმოდრაობიანი, ორმხრივამოზნექილი, ორმხრივჩაზნექილი, რევერ-**

სულმოპრაობიანი, შეზღუდულბილვადობიანი, განკუთვნილზო-
ლიანი, დიდქანობიანი, ერთმალიანი, მცირეზომიანი, სწორქიმიანი,
ოთხმალიანი...

Maka Labartkava

**On Spelling the Composites (or the Terms) of the Same Type in
Modern Georgian**

S u m m a r y

In Modern Georgian there are attested different spellings of the composites with two components e. g. **cicabo aymartiani** (with a steep rise), **cicabo-aymartiani**, **cicaboaymartiani**; **reversul mozraobiani** (reverse direction traffic), **reversul-mozraobiani**, **reversulmozraobiani**; **ormxriv amoznekili** (lenticular), **ormxriv-amoznekili**, **ormxrivamoznekili**...

From the above-mentioned variants a preference should be given to the only form – the composites without a hyphen or a space e. g. **cicaboaymartiani**, **reversulmozraobiani**, **ormxrivamoznekili**... The reason is the standards of the literary language. The composites of the similar type are written together e. g. **gurmoçrili** (an obedient), **gonebamaxvili** (witty), **guljavriani** (worried)....